

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ს.ს.ი.პ იურიდიული დახმარების სამსახურს შორის იურიდიული კლინიკის წარმოების შესახებ

20 ოქტომბერი 2013წ.

ერთი მხრივ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და მეორე მხრივ, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ს.ს.ი.პ იურიდიული დახმარების სამსახური დებენ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს სისხლის სამართლის იურიდიული კლინიკის წარმოების პროცესში თანამშრომლობის შესახებ.

აღიარებენ რა პრაქტიკული საქმიანობის მნიშვნელობას კვალიფიციურ იურისტად ჩამოყალიბების პროცესში, მემორანდუმის მხარეები თანხმდებიან:

აწარმოონ სისხლის სამართლის იურიდიული კლინიკა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის ან/და მაგისტრატურის სისხლის სამართლის სპეციალობის სტუდენტებისათვის სისხლის სამართლის სფეროში საადვოკატო საქმიანობის სპეციფიკის სწავლებისა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;

სისხლის სამართლის იურიდიული კლინიკის პროექტის ძირითად განმახორციელებელ მხარეებს წარმოადგენენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ს.ს.ი.პ იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიურო;

მოქმედების ვადა:

სისხლის სამართლის იურიდიული კლინიკის პროექტი იწყება 2013 წლის 28 ოქტომბრიდან და გრძელდება ვიდრე მხარე(ები) არ შეწყვეტს(ენ) თანამშრომლობას;

მხარეები:

სისხლის სამართლის იურიდიული კლინიკის პროექტის ძირითად განმახორციელებელ მხარეებს წარმოადგენენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის რექტორის მერაბ ბერიძის სახით და სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ს.ს.ი.პ იურიდიული დახმარების სამსახური, სამსახურის დირექტორის მელიტონ ბენიძის სახით.

1. იურიდიული დახმარების სამსახური:

ა) იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას და გაწევს პროექტის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის აუცილებელ ხარჯებს;

ბ) იურიდიული კლინიკის გამართულად მუშაობის მიზნით უზრუნველყოფს იურიდიულ კლინიკის ფუნქციონირებას იურიდიული დახმარების სამსახურის შენობაში;

გ) მოქმედი ადვოკატების ზედამხედველობით უზრუნველყოფს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობას, სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიებზე მათ ჩართულობას;

დ) ადვოკატთა უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით პროექტის განმავლობაში ნაწილობრივ საკუთარი რესურსებისა და მოწვეული ექსპერტების საშუალებით უზრუნველყოფს კლინიკის სტუდენტებისათვის სემინარების ჩატარებას;

ე) კლინიკის სტუდენტებისათვის მოაწიებს გასვლით ვიზიტებს: სასამართლოში, პროკურატურაში, სასჯელაღსრულებით დაწერებულებებსა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში;

2. უნივერსიტეტი:

ა) ხელს შეუწყობს და კოორდინაციას გაუწევს კლინიკისათვის სტუდენტების შერჩევის პროცესს. შეადგენს კლინიკის პროგრამას, შეიმუშავებს სტუდენტთა შეფასების სისტემას;

ბ) დანიშნავს კლინიკის კურატორს, რომელიც უნივერსიტეტის მხრიდან სამეცნიერო კოორდინაციას გაუწევს სტუდენტთა კლინიკაში მუშაობის პროცესს;

გ) იურიდიული დახმარების სამსახურთან შეთანხმების შემთხვევაში უზრუნველყოფს კლინიკის სტუდენტისთვის შესაბამისი ლექციების ჩატარებას;

დ) ხელს შეუწყობს კლინიკური სწავლების ინტეგრაციას უნივერსიტეტის სასწავლო ცხრილში.

რეკვიზიტები:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

სასჯელაღსრულების, პრობაციისა
დახმარების სამინისტროს ს.ს.ი.პ. იურიდიული
დახმარების სამსახური

მის.: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

მის.: რუსთაველის გამზ. 30
0146 ქ. თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2 92 00 55

ტელ.: 8 (265) 2 19-90; 8 (265) 2 12-19

ფაქსი: 365 22- 19-90

ელ-ფოსტა: contact@sjuni

ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge

info@legalaid.ge

ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი

სამსახურის დირექტორი

მერაბ ბერიძე

მელიტონ ბენიძე

